ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2569 პარასკევი, 30 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2569

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და ქ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუჯევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკი, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნების. **ტელეფონი № 679.** (0—151)

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის" და „მოამბის" წლიური ფასი სრულათ არა აქვს გადახდილი, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა, რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.

„ცნობის ფურცელი" 1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდის ღირს 3 მან.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

გ. ფ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ჰ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტუიშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდა-ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ქუთაისში

სასტუმრო **„როსია"**

ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის ნიკოლაძის სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გვერდით. (15—კ. ნ.—14).

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა ამით აცხადებს, რომ სექტემბრის პირველიდან საჭიროა

მასწავლებელი,

„საზოგადოების" სკოლისადვის ს. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზ.). მასწავლებელს ექნება ჯამაგირი თვეში 30 მან. ბინა და შეშა. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ თხოვნები და საჭირო დოკუმენტები „საზოგადოების" გამგეობაში (Тифлисъ. Общество Грамотности). (3—უ—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას: 1. 26 ივლისს: „სამხრეთის მხარეს იაპონელების ჯარი ხაიჩენის ჩრდილოეთითაა, 12—15 ვერსის მანძილზე. 24 ივლისს ესაული ევტინი დასაზვერად იყო ნიუ-ჩუანისკენ. ესაული ევტინი დაიჭრა ფეხში, მაგრამ ბრძოლიდან არ წასულა. ყაზახი დაიჭრა ოთხი, მოკლულ იქნა ორი. აღმოსავლეთის მხარეს განსაკუთრებული ცვლილება არა მომხდარა-რა." 2. 27 ივლისი: „სამხრეთის მხარეს ჩვენსა და იაპონიის მოწინავე ჯარს შორის ყოველ დღე სროლაა. ლიაოიან-საიმაძისკენ განსაკუთრებული ცვლილება არა მომხდარა. 27 ივლისს, დილის 3 საათზე, ყაზახთა რაზმი 8 ვერსზე მიუახლოვდა დასავლეთით ციანჩანს. ყაზახთა მოწინავე სოტნებს აქ იაპონელებმა სროლა დაუწყეს. იაპონელებს ძლიერი და ძნელად მისადგომი პოზიციები ეჭირათ. პოზიციების სიძნელისა და ხშირ ნისლის გამო, ყაზახები იძულებულნი გახდნენ, შეჩერებულიყვნენ და დაეჭირათ ხეობა და ფერდობები მტრის ადგილიდან 600—1000 ნაბიჯზე. დილის 7 საათზე, როდესაც ნისლი ოდნავ გაიფანტა, მთავარ ჯარიდან მოსული მაშველი რაზმი გაიგზავნა იაპონიის პოზიციის მარცხენა ფრთის მოსავლელად, მაგრამ ამ დროს ჩვენ მარცხენა ფრთის მახლობლად, ერთი ვერსის მანძილზე, გაჩნდა მტრის ჯარი, შვიდ როტამდე, რომელიც საიდუმლოდ მოსულიყო ნისლისა და მაღალ გაოლიანის წყალობით. ეს ჯარი, პოზიციაზე გასულ ჩვენის ზარბაზნების მეოხებით, იძულებული გახდა უკან დაწეულიყო. შემდეგ ბრძოლა შესწყდა. რადგან იაპონიის ჯარი უფრო ძლიერი იყო, ჩვენი რაზმი დილითვე უკან გამობრუნდა. მტერი არ დასდევნებია. ჩვენი ზარალი: მოგვიკლეს 2 და დაგვიჭრეს 12 ყაზახი; დავკარგეთ 15 ცხენი. ამ შეტაკებამ გამოარკვია, რომ იაპონიის რაზმში იყვნენ მებრძოლ და სარეზერვო ჯარის ნაწილები, რადგან სხვა-და-სხვა ჯურის ტყვიას ისროდნენ: ზოგ ტყვიას ნიკელისა, ზოგს თუჯის თავი ჰქონდა".

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). 27 ივლისს ყაზახთა რაზმი მიუახლოვდა იაპონიის მოწინავე სადარაჯოებს გენზანთან და იმ წამსვე უკან გამობრუნდა.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ."). 26 ივლისს პორტ-არტურის მხრიდან ისმოდა ზარბაზნების სროლის ძლიერი ხმა. სროლის ხმა ისმოდა საღამოს 10 საათსა და 20 წუთიდან დილის 3 საათსა და 30 წუთამდე. ნავით მოსული მგზავრები, რომელნიც პორტ-არტურიდან 24 ივლისს წამოსულან, ამბობენ, 15 ივლისს შემდეგ არავითარი ბრძოლა პორტ-არტურში არ მომხდარაო. ინჟენერი, რომელიც კარგად იცნობს პორტ-არტურს, ამბობს: იაპონელებს ოთხ კვირამდე დასჭირდებათ უკვე დაჭერილ მაღლობების გამაგრება და იქ საალყო ზარბაზნების დადგმა, რომელთათვისაც მკვიდრი საძირკველია საჭიროო; ამასთან იაპონელებმა უნდა იმუშაონ სროლის დროსაო.

ვაშინგტონი. აქ დიდის ინტერესით არკვევენ რუსეთსა და ინგლისს შორის ატეხილს სადავო საკითხს იმის შესახებ, აქვს თუ არა, საერთაშორისო უფლების ძალით, მებრძოლ სახელმწიფოს ნება დაღუპოს სანეიტრალო გემი, რომელსაც კონტრაბანდა მიაქვს? ზოგიერთ მოხელეთა აზრით, ამერიკის შტატების გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ თუ ამერიკას ომი მოუხდა, იგიც იძულებული იქნება რუსეთსავით მოიქცეს, ესე იგი, დაღუპოს სანეიტრალო გემი, რომელზედაც კონტრაბანდა აღმოჩნდება. ასე უნდა მოიქცეს იმიტომ, რომ ამერიკის გემს არ შეეძლება დაჭერილ გემის წაყვანა ატლანტიის ოკეანეთი იმ ნახშირით, რომელიც დამზადებული ექნება თავის საჭიროებისათვის. მიუხედავად ამისა, შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ჯერ საკუთარი აზრი არ შეუდგენია ამ საკითხის შესახებ და მოელის, როგორ გადაწყდება სადავო საქმე ინგლისსა და რუსეთს შორის.

ტიანძინი. ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოუცხადა იაპონიის ელჩს, რომ 400 ხუნხუზი, იაპონელ აფიცრების მეთაურობით, მანჯურიიდან ჩინეთში შემოვიდნენო; ამის გამო რუსები პროტესტს აცხადებენ და ჩინეთს უსაყვედურებენ, იაპონიას ხელს უწყობს ომშიო. იაპონიის ელჩი თავის პასუხში უარჰყოფს ცნობას, ვითომ ხუნხუზებს იაპონელი აფიცრები მეთაურობენ.

პარიზი. („ვოლფის სააგენტო"). იაპონიის მთავრობამ გაანთავისუფლა ნიუ-ჩუანში ამას წინად დაპატიმრებული საფრანგეთის სადიპლომატო აგენტი. ნიუ-ჩუანის კომენდანტმა სადიპლომატო წარმომადგენლად სცნო აგენტი და ამით საქმე მოსპობილად უნდა ჩაითვალოს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.") პორტ-არტურთან ახალი ბრძოლა მოხდა. 23 ივლისს, საღამოთი, პორტ-არტურიდან წამოსული ორი შაკრიკი მოვიდა ჩიფუს. ესენი ამბობენ, 22 ივლისს საღამოს იაპონელებმა იერიში მიიტანეს მარცხენა ფრთეზე მდებარე რუსების უმთავრეს სიმაგრეებზე. ბრძოლაში, რომელიც განთიადისას დაიწყო, ორმავე ფლოტმა მიიღო მონაწილეობა. იაპონელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, მაგრამ დიდის ზარალით უკუგდებულ იქმნენ. იმათი ზარალი ამ ბრძოლაში აღემატება ზარალს მგლისა და მწვანე გორის აღების დროს. რუსებმა დაჰკარგეს ათას კაცზე მეტი. ასეთი გამწვავებული ბრძოლა ომის დაწყებიდან ჯერ არ მომხდარა. ამბობენ, რუსის ჯარს პორტ-არტურის მცხოვრებნი ეხმარებიანო. რუსეთ-იაპონიის ფლოტების ზარალის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი იციან.

სეული. („რეიტ. სააგ.). რუსის ორი როტა 27 ივლისს გენზანში მივიდა. რუსებმა შეიტყეს, რომ იაპონელთა ჯარის რიცხვი ბევრად მეტია და უზარალოდ უკან დაიწიეს.

ლონდონი. კუროკის არმიაში მყოფი „რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენტი იუწყება, რომ 26 ივლისს რუსებმა გამოილაშქრეს და იერიში მოიტანეს იაპონელთა მარჯვენა ფრთეზე. ზარბაზნების სროლა, რომელიც იმ მხრიდან ისმოდა, ამტკიცებს, რომ ეს ამბავი ნამდვილია. 19 ივლისს ბრძოლაში იაპონელებმა 990 კაცი დაჰკარგეს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ეკო დე პარი" იუწყება: ნამესტნიკი ადმირალი ალექსეევი თავის მთავარ სადგომს მუკდენიდან ვლადივოსტოკს გადაიტანსო. („რ. ლ.").

ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია"-ს: 22 ივლისი. იაპონელები მედგრად მოდიან წინ. თუ არსად შედგნენ, მალე უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდება ლიაოიანთან.

გერმანელი სამხედრო კრიტიკოსები ჰფიქრობენ, გენერალ კუროპატკინს ურჩევნია თავის უმთავრეს ჯარს ხარბინისაკენ დაახევინოსო. („რ. ლ.").

ბერლინში სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, იაპონელები ლიაოიანზე იერიშის მისატანად ემზადებიანო. მაგრამ არავინ იცის, გენ. კუროპატკინი როგორ მოიქცევა, შეებრძოლება იაპონელებს, თუ მუკდენისაკენ დაიხევსო. მცოდნე ხალხი ამტკიცებს, უკან დახევა მეტად გასჭირდება, რადგან ლიაოიანში დიდძალი სამხედრო და საკვები სურსათი აქვთ დამზადებული რუსებსაო.

„ეკო დე პარი" იუწყება, ვითომ რუსის უმთავრეს ჯარს ლიაოიანიდან მუკდენისაკენ დაეხიოს.

„ჰავასის სააგენტოს" კორესპონდენტი იუწყება: პეტერბურგში ცნობა მიიღეს, იაპონელებმა ინკოუში 20 ათასი კაცი გადმოიყვანეს და საჩქაროდ ლიაოიანისაკენ გაგზავნესო. („რ. ლ.").

ბ. დემჩინსკი ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებს „ბირჟევია ვედომოსტი"-ს: 20, 21 და 22 ივლისს, საიმაძი-ლიაოიანის გზაზე სოფ. გუციაცისთან გამწვავებული ბრძოლა იყო. გენ. კუროკის გუციაცისთან 36 ბატალიონი მომქმედი და 18 ბატალიონი სარეზერვო ჯარი ჰყავს. იაპონელებმა მეტად მედგარი იერიში მოიტანეს რუსის ჯარზე. რუსებმა გუციაცის დასავლეთით დაიხიეს. იაპონელებს ინკოუში ჯარი გადაჰყავთ. 22 ივლისს აქ წვიმა დაიწყო.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: 17, 18, 19 ივლისს იაპონელების სამივე არმიამ ერთბაშად იერიში მიიტანა რუსის ჯარზე. გენ. ნოძუს არმია რუსის შუა ჯარს დაეცა სიმუჩენთან, გენ. ოკუმ გენ. ზარუბაევის მარჯვენა ფრთას გვერდიდან მოუარა, გენ. კუროკი რუსის ჯარის მარცხენა ფრთას დაეცა, ლიაოიანს ახლო. აქ, ლიაოიანის გზაზე საუკეთესო რუსის ჯარი, ახლად მოსულ მე-10 და მე-17 კორპუსების პოლკები იბრძოდნენ. იაპონელებმა ყველგან სძლიეს რუსებს და უკან დაახევინეს. იაპონელებს ამ ბრძოლის დროს 2 ათასამდე კაცი დააკლდათ მოკლული და დაჭრილი; რუსების ზარალი გაცილებით მეტია, რადგან რუსები ბრძოლის დროს ჯგუფ-ჯგუფად იდგნენო. იაპონელების სამსავე არმიას უმაღლეს ხელმძღვანელობას მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა უწევდათო. („რ. ვ.").

„სენტრალ ნიუს"-ის სააგენტო იუწყება: სიმუჩენთან, 18 ივლისს რუსის წითელ ჯვრის რაზმი ექიმებიანად ბრძოლის ველზე დარჩა. მერე იაპონელებმა ეს რაზმი ხაიჩენში გაისტუმრეს და თან წერილი გაატანესო. („რ. ლ.").

18 და 19 ივლისს იანზელინთან უღელტეხილზე ბრძოლის დროს რუსებს სულ 55 აფიცერი დაჰკლებია. ამათგან 7 მოკლულია, 39 დაჭრილი და 9 ბრძოლის ველზე დარჩენილა. დაჭრილ აფიცრებში ერთი გენერალიც ურევია. („ნ. დ.").

11 ივლისს დაშიჩაოსთან ბრძოლის დროს დივიზიის უფროსი გენ. კოსაგოვსკი დასჭრეს. („ნ. დ.").

„დეილი მეილ"-ი იუწყება: ჩიფუში მრავალი რუსის მოხელე მოდის პორტ-არტურიდანაო. („რ. ლ.").

იაპონური გაზ. „ასაჰი" იუწყება: 11 ივლისს ორი დიდი გემი, თითო 6 ათას ტონა წყალ-წყვისა, ჯანყის დროს პორტ-არტურიდან გამოვიდა, მაგრამ იაპონელების მოდარაჯე ნაღმიანმა გემებმა შეჰნიშნეს და დააყენეს. რუსის გემებმა თეთრი დროშა გაშალეს. იაპონელებმა ეს გემები დაიჭირეს და ადმირალ ტოგოს ფლოტის ბინაზე წაიყვანეს. ამ გემებზე პორტ-არტურის მოქალაქეები და კერძო ხალხი იჯდა. („ნ. დ.").

„ტაიმს"-ს ატყობინებენ: ჩიფუდან ცნობა მოვიდა, ჩაძირული გემ „ხიპსანგ"-ის უფროსი და მეზღვაურები რუსებს პორტ-არტურიდან

გამოუშვათ, მაგრამ საჭმელი-კი არ მიეცათო.

იტალიურ გაზ. „ჯიორნალე დ'იტალია“-ში პრინც ხაიმე ბურბონის წერილებია დაბეჭდილი ვაფანგოუსთან მომხდარ ბრძოლის თაობაზე. პრინცი სწერს: რუსის სალდათები საკვირველ ტანჯვასა და მწუხარებაში არიან, მაგრამ ყველაფერს საოცრად იტანენო; მოწინავე რაზმებს საჭმელი და ცხენებისათვის თივა აკლიათო. 5 ივნისს ლიაოიანში რუსის ჯარს სრული 34 საათი სხვა საჭმელი არა ჰქონია ჩაი-შაქრის მეტიო. („რ. ლ.“).

იაპონელ ჯარის-კაცებს გზაში და ბრძოლის დროს თოფისა, პატრონისა და სუმბუქ აბგის გარდა ზედ არა ჰკიდიათ რა; დანარჩენი ბარგი ურმებსა და მუშებს მიაქვთ. ამიტომ იაპონელ ჯარის-კაცს მთიან ადგილებში სიარული და ბრძოლა არ უჭირდება. რუსის სალდათს-კი მეტად მძიმე ბარგი დააქვს, თითქმის ორ ფუთამდე ჰკიდია ზედა და გზაში, თუ ბრძოლის დროს, მეტადრე მთიან, ოღრო-ჩოღრო ადგილებში, ეს ბარგი საშინლადა ჰღლის და აწუხებს. კორესპონდენტები ამბობენ, მძიმე ბარგმა საქმე გაუჭირვა რუსის სალდათებს, სიცხის დროს ხვითქი წურწურით გადასდით და სულს ძლივს იპრუნებენო. ბოლოს დროს, ეტყობა, რუსის ჯარის უფროსსაც ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის. „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: მთავარ-სარდლის ბძანებით, ამას იქით სალდათის შინლებს ურმებით ატარებენ, თორემ აქ საშინელი სიცხე დადგა და სალდათებს მეტად გაუჭირდათ მძიმე ბარგის ტარებაო.

რუსის კორესპონდენტები ირწმუნებოდნენ, იაპონელები ბრძოლის წინ ითვრებიან და ისე მიდიან რუსებზე იერიშითაო, ყველა იაპონელ ჯარის-კაცს არაყი დააქვს თან ჰურჭლითაო. „პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი ბ-ნი გარინი სწერს: ერთს რუსის აფიცერს ვკითხე, იაპონელები მართლა მთვრალები იბრძვიან-მეთქი. აფიცერმა მიპასუხა: ეგრე ამბობენ, მაგრამ მე-კი რამდენიც მოკლული იაპონელი ვნახე, ზედ ჰურჭლით ნადუღი წყალი ეკიდა და არა არაყიო.

გერმანულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ სეულიდან: 27 იანვარს ჩემულპოში ჩაძირული რუსის გემი „სუნგარი“ იაპონელებმა ამოიღეს. „სუნგარი“ სრულიად დაუზიანებელი იყო და სხვა გემის დაუხმარებლად ნაგასაკში გაისტუმრეს. 22 ივლისს სეულში ბრძოლაში დახოცილ იაპონელების პატივსაცემლად პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს კორეის მთავრობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. („ბ. ვ.“).

ფრანგული გაზ. „ეკო დე შინ“-ი (შანხაიში გამოდის) ჩივის, რუსეთის მთავრობის სამხედრო აგენტები ცნობებს არ იძლევიან სამხედრო მოქმედების თაობაზეო. აი საქმე რაშია. ერთმა ინგლისურმა გაზეთმა (ესეც შანხაიში გამოდის) დასწერა მოწინავე წერილში, რუსების ოფიციალური ცნობები ცრუ ცნობებია და ისიც ცრუა, ვინც ასეთს ცნობებს იძლევაო. რუსეთის სამხედრო აგენტმა გენ. დესინომ ინგლისელ რედაქტორს ადვოკატის ხელით წერილი გაუგზავნა, ბოდიშის მოხდა მოსთხოვა და აუხსნა, ეგ დეპეშები მანჯურიის ჯარის მთავარ შტაბის უფროსისაგან მომდის, არც არას ვუმატებ, არც არას ვაკლებ და თუ რუსეთის ოფიციალური ცნობები არ მოგწონთ, შეგიძლიანთ არ დაბეჭდოთ, ლანძღვის უფლება-კი არა გაქვთო. რედაქტორმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ აქაც ეშმაკურად მოიქცა. მარტო თითონ დესინოსთან მოიხადა ბოდიში, რუსის ჯარის მთავარ-შტაბის უფროსს-კი ცრუს სახელი შერჩა. დესინომ გაჯავრებულმა არც ერთს გაზეთს შანხაიში ცნობა აღარ მისცა.

ნიუ-ჩუანიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: ინგლისის რეზიდენტმა გამოაცხადა, საჭირო არაა, რომ ინგლისის კანონიერი გემი „ესპიეგლ“-ი ნიუ-ჩუანში იდგეს, რადგან იაპონელები კარგად იცავენ წესიერებასაო. („ნ. დ.“).

2 ივნისს ვლადივოსტოკის ესკადრამ, სხვათა შორის, სატრანსპორტო გემი „სადომარუ“-ც დააზიანა. ამ გემის კაპიტანს სატოს უამბნია გერმანულ გაზ. „კენიგს. ცაიტუნგ-“ის კორესპონდენტისათვის, „სადომარუ“-ზე სულ 46 კაცი დაიღუპაო. წინად გაზეთები სწერდნენ, ამ გემზე თითქმის ერთი პოლკი ჯარი დაეღუპათ იაპონელებსაო. („რ.“).

რუსის დრაგუნის აფიცერს უამბნია „რუსკია ვედომოსტი“-ს თანამშრომლისათვის: იაპონელებს მეტად კარგადა აქვთ მოწყობილი სამხედრო საქმე. ერთხელ ტყეში გორაზე ვწევარ, ბინოკლით ვათვალიერებ, როგორ მოდის იაპონელების რაზმი... ჯერ ერთი კაცი გამოჩნდა ხეობაში, ბინოკლით ყველა კუთხე დაათვალიერა და წინ წამოვიდა, იმას სხვა მოჰყვა. ამნაირად ხეობაში ჯერ ხუთი კაცი შემოვიდა, მერე მთელი რაზმიც თან მოჰყვა. ლამაზად სუმბუქად, სალტად მოდიან. ზედ მარტო თოფი, პატარა აბგა, პატრონები ჰკიდიათ, სხვა არაფერი. ბარგი-კი კორეელ და ჩინელ მუშებს მოაქვთ უკან... აბგებში კარტა, ბინოკლი, კომპასი და კონსერვის კოლოფი უწყვიათ.. ყველა სანგარში იაპონელებს ბრძოლის ველის კარტა უკიდიათ; კარტაზე დანიშნულია, რომელ ადგილამდე რა მანძილია, რომ მიზანში კარგად ამოიღონ და კარგად ესროლონ. ჩვენი პოლკოვნიკი პირდაპირ გვეუბნებოდა: „ისწავლეთ, ყმაწვილებო! ამისთანა მეორე კარგი შემთხვევა აღარსად შეგხვდებათო.“

გრაფ კელლერის გარდაცვალება. ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: თავადმა შირინსკი-შიხმატოვმა გვიამბო: 18 ივლისს პირველ საათამდე მეტად გამწვავებული ბრძოლა იყო. როცა ზარბაზნის სროლა შესუსტდა, რაზმის უფროსი გრაფი კელლერი თავის ამალით, ყველანი სპეტაკ თეთრის კიტელებით, პოზიციების დასათვალიერებლად წავიდა. როცა ერთს უღელტეხილს მიუახლოვდნენ, გრაფი გააფრთხილეს, იაპონელები სწორედ აქეთ მხარეს ისვრიან ზარბაზნებსაო, მაგრამ გრაფმა ყურადღება არ მიაქცია, ცხენიდან ჩამოხტა და ქვეითად წავიდა პოზიციის დასათვალიერებლად. უღელტეხილიდან ძირს რომ ჩაცოცდნენ, იაპონელების ყუმბარა გრაფის წინ დაეცა, გასკდა და გრაფი დასჭრა. ფელდფებელი მაშინვე გრაფისაკენ გაქანდა საშველად. დაჭრილმა გრაფმა უკანასკნელად წამოიძახა: თავი დამანებეთ! ოჰ, ღმერთო! და ორის წამის შემდეგ სული დალიაო. ასე გარდაიცვალა გენ. სკობელევის თანამოღვაწე გრაფი კელლერი. 22 ივლისს გრაფის გვამი წითელ ჯვრის ვაგონში დაასვენეს და ლიაოიანიდან რუსეთში გაისტუმრეს. ბრძოლის ველიდან ლიაოიანამდე გვამი განსვენებულის შვილმა გააცილა. გრაფის შვილი ყაზახის აფიცერია, კორნეტის ჩინი აქვს და ამ ჟამად მანჯურიაში მსახურობს.

„მალაკა“-სა და „ნაიტ-კომანდერ“-ის საქმე. ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: რუსეთის მთავრობის განცხადება გემ „მალაკა“-ს საქმეზე ჰკუაში არ დაუჯდა ინგლისურ პრესსას. ოფიციოზური გაზ. „დეილი გრაფიკ“-ი სწერს: რუსეთის მთავრობის განცხადება „მალაკა“-სა და ჩაძირულ გემ „ნაიტ-კომანდერ“-ის საქმეზე ვერავის დააკმაყოფილებს. რუსეთის მთავრობა საქმის უმთავრეს მხარეს უყურადღებოდ სტოვებს. თავისუფალ ფლოტის კრეისერების მოქმედება თითქო კანონიერადაა ცნობილი და თითქო ინგლისის მთავრობაც ამავე თვალით უყურებდეს საქმეს. აქ ბევრი რამაა გამოსარკვევი ამ საქმეში; იმედი გვაქვს, ყველაფერი დაუყოვნებლივ იქნება გამორკვეული. სხვა გაზეთები ბალფურის სამინისტროს უსაყვედურებენ და რუსეთს მუქარას უთვლიან. ზოგიერთი იმპერიალისტური გაზეთი თხოულობს, ინგლისის მთავრობა ბეჯითად უნდა მოეკიდოს დარდანელის სრუტის საქმესაო

ვლადივოსტოკის ესკადრამ ივლისში დიდ ოკეანეში ინგლისის გემი „ნაიტ კომანდერ-“ი ჩასძირა. ამის თაობაზე „ტაიმს“-ი სწერს: „ნაიტ კომანდერ“-ის ჩაძირვა იქნება რუსეთის საპრიზო კანონებს ეთანხმებოდეს, მაგრამ ეს საქციელი სრულიად ეწინააღმდეგება ინგლისის საპრიზო კანონებს, კანონიერებასა და სამართლიანობას. ჩვენმა პირველმა მინისტრმა ადრევე შეატყობინა რუსეთის მთავრობას, რომ ინგლისი საკვებ სურსათსა და სანოვაგეს სამხედრო კონტრაბანდად ვერ ჩასთვლისო. ამბობენ, ვითომ „ნაიტ კომანდერ“-ზე რკინის გზის მასალა ეწყო და კაპიტანმა გემი სიგნალის მიცემის უმალ არ დააყენაო. ჯერ ერთი რომ ამას დამტკიცება უნდა; ამას გარდა ვინ დაადგინა, რომ რკინის გზის მასალა ყოველთვის სამხედრო კონდრაბანდათ უნდა ჩაითვალოსო. ასეთ საქციელს—გემის ჩაძირვას—მხოლოდ რუსის საგანგებო კანონი თუ გაამართლებს; რუსის საგანგებო კანონსა და საერთაშორისო კანონებ შუა მეტად დიდი განსხვავებააო. („რ. ს.“).

ფელეტონი

ა. პ. ჩეხოვი *)

ამას წინად ერთ ფრანგულ ჟურნალში იტალიელმა კრიტიკოსმა ენრიკო კორრადინიმ დაახასიათა თანამედროვე იტალიური ლიტერატურა და აღნიშნა ორი მიმართულება, ორი მიმდინარეობა. ერთი ქადაგებს „სიძლიერეს, გამარჯვებას, დაპყრობას, გაბატონებას“; მეორე — „სიყვარულს, თავგანწირვას, თავდადებას, თავშეკავებას“. „სიცოცხლის ძალა“ და „სიკვდილის ძალა“, — აი, მოკლე სახელწოდებანი ამ მიმართულებებისა. პირველის წარმომადგენელი და მქადაგებელი გაბრიელ აპოსტროფეა და ანუნციოა, მეორესი — ჯიოვანი პასკოლი. გაბრიელ დ'ანუნციოს ერთ პოემის მორალი ითხოულობს: „თვალ-წინ იქონიე მომავალი, იყავ მარტოდ-მარტო ძლიერების დროს; დეე, შენმა ძალ-ღონემ მოგანიჭოს ძალა; დეე, იმან მოგცეს გამარჯვებაო.“ სულ სხვაა პასკოლის იდეალი, მაგრამ ამ მწერლის აზრითაც კაცისთვის საჭიროა ძალა, დიდი ღონე; საჭიროა თავის თავის დამორჩილება; საჭიროა ადამიანმა ინსტიქტები და გამოურკვეველი სურვილები დაუქვემდებაროს ერთ დიად იდეალს, იდეალს თავის უარყოფისას.

პირველის შეხედვით ეს ორი მიმდინარეობა ლიტერატურაში ერთი-ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან, მაგრამ, თუ დაუკვირდებით, „სიცოცხლისა“ და „სიკვდილის ძალას“ შორის საერთოს მაინც ვიპოვნით. იმისათვის, რომ კაცი სიცოცხლით დასტკბეს, სიცოცხლის გამო ხარობდეს, საჭიროა ცხოველმყოფელი ძალა. სწორედ ასევე საჭიროა მხნეობა, ენერგია იმ ადამიანისთვის, რომელიც სცდილობს ცხოვრებისაგან მოსხლეტას და ინსტიქტებთან საბრძოლველად სურვილისამებრ თავის ძალ-ღონის მომართვას. ყველგან ძალა, ღონე მტკიცე, ხასიათია საჭირო, როგორც სიცოცხლეში ისე სურვილთა ნებაყოფლობით დამორჩილების დროს, როგორც ბუნებრივ, თითქმის ცხოველურ სიტკბოებაში ისე თავის უარყოფის დროს. რაც უნდა ძლიერი დაბრკოლება გადაეღობოს წინ გმირს, იგი მაინც გამარჯვებას ჰგრძნობს, რადგან თავის თავს ყოველთვის უპირისპირებს მოწინააღმდეგე ძალას და სცდილობს თავის უფლების განხორციელებას. დაღუპვის დროსაც-კი იგი ისეთი ძალაა, რომელშიაც არ იხშობა უკეთესის მიმართ მისწრაფება.

არის მესამე მიმართულება, მიმდინარეობა, რომელიც უფრო შორსაა ორ პირველ მიმდინარეობისაგან, ვიდრე ისინი ერთი-ერთმანეთისაგან. ეს მიმართულება დამახასიათებელია ჩეხოვის თხზულებებისა. ამ შემთხვევაში არც სიცოცხლეა, არც სიკვდილი, — არის მხოლოდ ავადმყოფობა; ვერა ნახავთ ვერც „გამარჯვებისა და დაპყრობის“ სურვილს, ვერც „სიყვარულისა და თავის უარყოფისადმი“ მისწრაფებას. ამათ ნაცვლად უღონობაა, მისწრაფების უქონლობა და სიცოცხლის გემოს დაკარგვა. ჩეხოვის გმირების დახასიათება საკეთილო თვისებებით შეუძლებელია. პირიქით, ხსენებულ გმირებს ყველაზე უფრო ამ თვისებების უქონლობა ახასიათებთ. უპირველესს ყოვლისა ეს გმირები მოკლებულნი არიან სულიერ ძალ-ღონეს, ნებას, სიცოცხლით სარგებლობის უნარს, გამბედაობას; ამ გმირებს არა სწამთ არც თავისი, არც სხვის სურვილ-განზრახვის სიწმინდე, სიცოცხლის აზრი და მოქმედების, მოღვაწეობის საჭიროება. ყველა ამის გამო ხსენებული გმირები ისეთი პაწაწკინები და უმნიშვნელონი არიან, რომ გვეუცხოვებათ კიდეც, როდესაც რომელიმე იმათგანი განსაზღვრულ სახელს ატარებს. ჩეხოვს ერთი პატარა მოთხრობა აქვს: „ნაამბობი უცნობ კაცისა“, — ისეთის კაცისა, რომელმაც დაჰკარგა ყოველგვარი მისწრაფება, ცხოვრების აზრი და მიზანი და ამასთან ერთად თავისი სახელიც. აი, ასეთი უცნობი, უსახელო, უმნიშვნელო კაცები არიან ჩეხოვის გმირები.

ტურგენევის სიკვდილის შემდეგ მიხაილოვსკი უწიგნოდ, ზეპირად, იგონებდა ტურგენევის გმირებს და მკითხველს ებაასებოდა ამა თუ იმ გმირზე, როგორც ყველასათვის ცნობილ ტიპსა და ხასიათზე. მკითხველი მართლაც იცნობდა ამ გმირებს: საკმაო იყო მარტო სახელის წარმოთქმა, ელენესი ან რუდინისა, ბაზაროვისა ან სხვა ვისიმე მოგონება, რომ მკითხველს ნათლად წარმოუდგენა ნაცნობი კაცის სახე, გაეგონა განსაზღვრული სიტყვები და თვალ-წინ დასდგომოდა ნათელი და გარკვეული ხასიათი. აბა, ეგევე სცადეთ ჩეხოვის გმირების მიმართ, სცადეთ და წარმოსთქვით ბელიკოვისა, ანნა აკიმოვნასი, ასტროვისა და კოვრინის სახელები, თუ მკითხველი გაოცებასა და გაკვირვებას არ მიეცეს. ამ სახელების მოხსენებით კაცს თვალ-წინ არასოდეს ცოცხალი ტიპი არ წარმოუდგება. არ იფიქროთ, ნიჭის ბრალი იყოს, ვითომ ტურგენევი უფრო ძლიერ და ნათლად ჰხატავდეს, ვიდრე ჩეხოვი, ან ვითომ პირველი ნიჭით აღემატებოდეს მეორეს: ნიჭი იმდენად განუსაზღვრავი ცნებაა, რომ უაზრო და ძნელია იმის გადაჭრა, პირველ ხარისხოვან მწერალთა შორის ერთი რამდენად უფრო ნიჭიერია მეორეზე. განსხვავდებიან უმთავრესად ის ობიექტები, ის გმირები, რომელთაც ბელეტრისტნი აგვიწერენ: ტურგენევი ჰხატავდა პიროვნებით აღჭურვილ ადამიანებს, ჩეხოვი — პირიქით პიროვნებას მოკლებულ, უსიცოცხლო ხალხს.

სწორედ ამიტომ, როდესაც მკითხველი სცდილობს ჩეხოვის უკვე წაკითხულ ნაწარმოებთა გმირების წარმოდგენას, იგი გონების თვალით ჰხედავს კერძო კაცებისა და ერთი-ერთმანეთისაგან განსხვავებულ ადამიანების ნაცვლად ბრბოს, რომელშიაც ჰქრება ინდივიდუუმების დამახასიათებელი თვისებანი. რა თქმა უნდა, ამ ხალხში, ამ ბრბოში ზოგი უფრო კეთილ გზას ადგია, ზოგი უფრო ბოროტს; ერთი შეიძლება განათლებული იყოს, მეორე უვიცი, მაგრამ როგორც პიროვნება, ყველა მოკლებულია ამისათვის საჭირო თვისებებს.

მკითხველი ერთბაშად ვერ იგებს, რად და როგორ დაჰკარგეს პიროვნება ჩეხოვის გმირებმა; იგი ჰხედავს უკვე პიროვნება მოკლებულ ადამიანს. ასეთ კაცს წარსულისა არა დარჩენია-რა და თვით ამ წარსულს ისე უყურებს, როგორც მიუწდომელ ბედნიერებას. ზოგიერთ შემთხვევაში წარსული არც-კი სჩანს სადმე და გმირი თითქოს ყოველთვის მოკლებული იყო პიროვნებასაო. ხშირად მოგონებებიდან აშკარავდება, რომ გმირი მხოლოდ ატყუებს თავის თავს, რომ იგი ყოველთვის უსიცოცხლო, უპიროვნო, უხასიათო, უძალ-ღონო ადამიანი იყო. „მე არასოდეს არავინ არ გამიკიცხავს, ყველას ლმობიერად ვექცეოდი, ყველაფრის პატივება ვიცოდი. — ამბობს პროფესორი, მთავარი გმირი „მოსაწყენ ისტორიის“; — იქ, სადაც სხვები პროტესტს აცხადებდნენ, ცეცხლს აფრქვევდნენ, მე მხოლოდ რჩევას ვაძლევდი და ვარიგებდი. მთელ ჩემ სიცოცხლეში მარტო იმასა ვცდილობდი, რომ ყველასთვის ასატანი კაცი ვყოფილიყავ, ოჯახისა, სტუდენტებისა, ამხანაგებისა და მოსამსახურეთათვის“. ამ კაცმა ნებაყოფლობით დაჰკარგა პიროვნება.

მერე რად? რა აზრით? უმეტესობა ამას შიშითა სჩადის. „მე ცხოვრებისა მეშინიან და ამ სენითა ვარ ავადაო“, — ამბობს ერთ მოთხრობაში სიდინი. თავის სიტყვების განსამარტებლად, სიდინი უმატებს, რომ უმთავრესად „ჩვეულებრიობა“ მაშინებსო. მართლაცა და ჩეხოვის გმირთა უმრავლესობას ეშინიან ჩვეულებრივ ცხოვრების მიტოვებისა, ჩვეულებრივ წრიდან გასვლისა. ამ გმირებს ეჯავრებათ „ჩვეულებრიობა“, კარგად ჰხედავენ სისაძაგლეს, ამ „ჩვეულებრიობასთან“ დაკავშირებულს, მაგრამ იმის თავის მინებება, ჩვეულებრივ ცხოვრების დარღვევა მაინც ვერ მოუხერხებიათ, ვერ გაუბედნიათ. და ასე, ნებაყოფლობით ძალას ატანენ თავიანთ თავს, სცდილობენ, მახლობელთათვის „ასატანნი იყვნენ“, თავიდან იშორებენ ინდივიდუალობის დამახასიათებელ თვისებებს და, ბოლოს, ჰკარგავენ, როგორც პეტერ შლემილმა თავისი ჩრდილი დაჰკარგა, ადამიანის არსებობის უსაჭიროესს ნიშნებს. ამ შემთხვევაში აშკარადა სჩანს ორი თვისება სუსტ არსებისა: ერთია გაუბედაობა უცნობ მომავლის წინაშე, მეორე — შიში იმისა, რომ უსიამოვნება არ მიაყენოს სხვას, არ დაარღვიოს სხვის არსებობის ჰარმონია.

ამ ორ თვისების გავლენით კაცი ჰკარგავს პიროვნებას და თავით ფეხამდე ეფლობა იმ ერთფეროვან, მკვდარ ცხოვრებაში, რომელსაც „ჩვეულებრიობა“ ეწოდება. ჰქრება გულის თქმა, აღმაფრენა, გატაცება, ის, რაც ცხოვრებას ჰკავს. კოლოფი (ფუტლიარი) აქ იჩენს ხოლმე თავს. ყველა კოლოფ ჩამოცმული დადის. ზოგი სრულიად ჰკარგავს აზრს, შინაარსს; უმთავრეს საგნად გარეგანი სახე მიაჩნია, ის, რაც თავზე

---

*) იხ. „Русскія Вѣдомости“ №194, წერილი И.-ხა.

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ-შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სიას:

11, 12 და 14 ივლისს დაიჭრნენ: დივიზიის უფროსი გენერალი კოსოგოვსკი, ესაული უსოვი, პოდესაული ბარონ ვალიო და სოტნიკი პუზიკევსკი.

18 და 19 ივლისს იანზელინის უღელტეხილზე მომხდარ ბრძოლაში: მოკლულ იქნენ: კაპიტნები ივანოვი, გალიცინსკი, ივანცოვი (მზემ დაჰკრა), ვერიგო, შტაბს კაპიტნები—შჩელკოვი, პორუჩიკი—ეფფერტი, პოდპორუჩიკი—მეიერ-ქენოვსკი; დაიჭრნენ: საარტილერიო ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი დეკინლეინი, პოლკოვნიკები—ლასკი, ოსტოლოპოვი, კირცევი, პოდპოლკოვნიკები ივანოვი, შერემეტოვი, კაპიტნები მამაევი, მარკოვსკი, პადალკო, ოსტროვსკი, ჩელიუსტკინი, ამ. პაპოვი, ალ. პოპოვი, სავინოვი, ტრუფანოვი, ხრაპკო, გალანჩუკი; შტაბს-კაპიტნები პონომარევი, სოიმონოვი, ნოსკოვი, ცურიკოვი, მატვეევი, ფოკინი, კორნი, დობრიშინი, კოვალევსკი; პორუჩიკები მალინსკი, მიკულშინი, ტატარინოვი, ვოინილოვიჩი-ნიეკოვსკი, პორუჩიკი, საკოვიჩი; პოდპორუჩიკები—არაგინი, პულიაევი, კონოვალოვი, კუდიმა, ჩეპურკოვსკი, შმიდტი, ოვჩარენკო; ესაული კომიანსკი; ბრძოლის ველზე დარჩა: პოდპოლკოვნიკი ვაულინი, კაპიტანი კალმიკოვი; შტაბს-კაპიტნები—ისაევი, კუდიმა, რუკავიშნიკოვი, ბოგდანოვსკი; პოდპორუჩიკები—მელნიკოვი, ჩერნეეცკი და უმცროსი ექიმი პოპოვიჩი.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ სამჯერ აღძრა შუამდგომლობა **ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების** შესახებ. ერთი შუამდგომლობა აღძრულ იქმნა საერო განათლების მინისტრის ვანოვსკის დროს, მეორე—ზენგერის დროს და მესამე ახლანდელ მინისტრის გენერალის გლაზოვის წინაშე. ორი შუამდგომლობა სამინისტრომ არ შეიწყნარა. პროგიმნაზიის ნაცვლად, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის აზრის თანახმად, სამინისტრომ საუმჯობესოდ სცნო ტფილისში დაეარსებინათ ოთხ კლასიანი სატეხნიკო სასწავლებელი. ამავე დროს კავკასიის მთავარ-მართებელმა საუკეთესოდ და სასურველად სცნო ტფილისისთვის საშუალო (8 კლასიანი) სატეხნიკო სასწავლებელი სამთო-მადნო განყოფილებით. საერო განათლების სამინისტროს ეხლა მოუწონებია ეს პროექტი მთავარ-მართებლისა, ხოლო თვით-მმართველობის შუამდგომლობა მესამედ უარ-უყვია. სამინისტროს დაუვალებია სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის, აცნობოს ეს გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოს და წინადადება მისცეს, განიხილოს საკითხი ხსენებულ საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ. სასწავლებელს პირველ ხანს დასჭირდება 350,000 მანეთი. ქალაქმა ამის ნახევარი უნდა იკისროს და ამას გარდა მესამედი ყოველ წლიურ ხარჯისა.

◆ გზათა მინისტრის ბრძანებით, **ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან** იმიერ-ბაიკალის გზაზე, ციმბირში, უნდა გაიგზავნოს 10 სადგურის უფროსის თანაშემწე და 14 კონდუქტორთა ბრიგადა.

◆ **გელათი.** „ცნობის ფურცელ“-ში უკვე დაბეჭდილი იყო გელათის მონასტრის გაძარცვის ამბავი. როგორც თვით ბერებისაგან დანამდვილებით გავიგე, ქურდებს შემდეგი ნივთები წაუღიათ: 1. ოქროს ბარძიმი, 2. ორი ვერცხლის ბარძიმი, 3. პანაგია, 4. სამღვდელ-მთავრო შესამოსელი ქამარი, 5. დავით აღმაშენებლის ოქროს ბეჭედი და 6. ფულად 252 მ. 52 კ. წინანდელ ნომერში მოხსენებული გვირგვინები, თამარ მეფისა, ქოშები და სხვა ნივთები ხელუხლებელი დარჩა. ამასთან ერთი ავაზაკი, გვარად ბალანჩივაძე, პოლიციას კიდეც შეუპყრია. სხვების დასაჭერად საგანგებო ზომებია მიღებული.

◆ ლაპარაკია აღძრული, **ტყის დამცველი კომიტეტები** დაწესდეს ბათუმისა და დაღესტნის ოლქებში.

◆ 27 ივლისს კრება ჰქონდათ იმათ, ვინც განიზრახეს ამხანაგობის შედგენა მომავალ სეზონში **ქართულ წარმოდგენების გასამართავად.** კრებამ საჭიროდ სცნო 2000 მანეთის შეკრება. ამხანაგობის თვითეულმა წევრმა უნდა შეიტანოს ხუთ-ხუთი თუმანი. ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 35 კაცამდე. კრებამ აარჩია სამი კაცი—ვალ. გუნია, ი. ცინცაძე და ს. ფირცხალავა და დაავალა ამათ რეპერტუარის შედგენა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე დაშავებულების ან მოკლულთა ნათესავების თხოვნები სასყიდლის დანიშვნის შესახებ დღევანდლამდე განსახილველად ეგზავნებოდა გზათა სამინისტროს პეტერბურგში. რადგან ამის გამო ასეთ საქმეების განხილვა გვიანდება, გზათა სამინისტრომ დაავალა რკინის გზის გამგეობას, თვითონ განიხილოს ხოლმე იმათი შუამდგომლობანი, რომელთაც წლიურად სასყიდელი უნდა მიეცეს 1000 მანეთამდე, ხოლო ერთ ხანად 10,000 მანეთამდე. რკინის გზის გამგეობამ მხოლოდ დადგენილებანი უნდა წარუდგინოს სამინისტროს.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიის მინდობილობით, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა აგენტმა გუშინ გაატანინა ბაბაევს სახლიდან 150 **ტომარა ფქვილი,** გადაასხმევინა ნავთი და დააწვევინა. ამ ფქვილის უვარგისობის შესახებ ჯერ ისევ 1902 წელს აღიძრა ლაპარაკი, კარგა ხანია სასამართლომ დაადგინა, მოისპოს ეს ფქვილი, მაგრამ ეს დადგენილება სისრულეში მოიყვანეს მხოლოდ ეხლა, როდესაც სრულიად აყროლდა და აშმორდა. ვინ იცის, ხოლერის შიში რომ არ ყოფილიყო, რამდენ წელიწადს კიდევ შეინახავდნენ ქალაქის აგენტები ამ აყროლებულ ფქვილს...

◆ პირველ აგვისტოდან კომისია შეუდგება **გოლოვინის პროსპექტის** მოკირწვლას ბარიათინსკის აღმართიდან სახაზინო თეატრისკენ.

◆ როგორც ქალაქის საბუხჰალტერო განყოფილების ანგარიშიდანა სჩანს, გამგეობას ამა წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე სხვა-და-სხვა **საჭიროებისათვის დაუხარჯავს** 756,645 მანეთი. ქალაქის მთელი შემოსავალი ნავარაუდევია 1,567,048 მან.

◆ კახეთის მოედანზე შემდეგი მკვლელობა მოხდა: ამ რამდენისამე ხნის წინად ყასაბს არტემ დონიევს ერთის თათრისაგან უყიდნია 400 მანეთის საკლავი საქონელი. რადგან საქონლის პატრონს ფული დროზე ვერ მიუღია, უთხოვნია მყიდველის ნათესავის მიხაკ დონიევისათვის დახმარებოდა ფულის გამორთმევაში. როცა მიხაკა მისულა არტემასთან, თვითონ არტემა შინ არ დახვედრია და იმის ნაცვლად ლაპარაკი იმის ცოლთან მოსვლია. ამის გამო, განჯის გუბერნიიდან დაბრუნების შემდეგ, 27 ივლისს, კახეთის მოედანზე თავის დუქანში არტემასა და მიხაკას ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც არტემს ისე ძლიერ ჩაუკრავს დანა, რომ მიხაკა მიხეილის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ ხვალ, 31 ივლისისთვის, მიიწვია ქალაქის განაპირა უბნების სასანიტარო მზრუნველნი ა. ს. დულაძე, ს. ი. გაწაძე, ა. ბ. ევანგულოვი, ს. ზ. მირზოევი და სასანიტარო ექიმი გერცი. გამგეობამ და მიწვეულმა მზრუნველებმა უნდა მოილაპარაკონ იმის შესახებ, თუ როგორ შეათანხმონ მზრუნველთა და ტფილისის მაზრის სასანიტარო კომისიის მოქმედება.

◆ ნახევარი წლის განმავლობაში ქალაქის კასაში შევიდა სხვა-და-სხვა გადასახადებისა სულ 283,642 მან. 10 კაპ.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიის პასუხად ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა აცნობა, განკარგულება უკვე მოვახდინე, რომ რიგიანად დასუფთავდეს ფოსტის სადგურის ეზო და საჯინიბოები ოლგას ქუჩაზეო.

◆ ხორცის დუქნების გამგე კომისიამ 28 ივლისს დაადგინა, ცხვრის ხორცს 1 აგვისტოდან 1 კაპეიკი დაუკლონ.

◆ 26 ივლისს ტალინის სარდაფში, ელისაბედის ქუჩაზედ, ჩხუბის დროს ვიღაც პეტრემ (გვარი ვერ შეიტყეს) დანით მუცელში დასჭრა ტფილისის მაზრის სოფელ ბერკეთის მცხოვრები პეტრე ციტურაშვილი. პეტრე სადღაც დაიმალა.

◆ ნაძალადევში 27 ივლისს, საღამოს 8 საათზედ ვიღასაც ცხენ-დროგიანად გადაუვლია მიმავალ ნიკოლოზ სირაჩევზე, რომელიც იქვე გადაცვლილა. გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს. ვინაობა მედროგისა ვერ შეიტყეს.

◆ 26 ივლისს მადათოვის კუნძულზე პოლიციელებმა ნახეს უეცრად გარდაცვალებულის ვიღაც თათრის გვამი. გარდაცვალების მიზეზის გამოსარკვევად გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

◆ გუშინ-წინ მუშტაიდის პირდაპირ მტკვარში საბანაოდ ჩასულა ტფილისის მცხოვრები იაკობ დიმიტრაშვილი. რადგან ცურაობა არ სცოდნია, წყალს ჩაუთრევია და დაუხრჩვია. 2 საათის შემდეგ დიმიტრაშვილის გვამი გამოიტანეს.

◆ კოჩუბეის ქუჩაზე, 27 ივლისს, შინ მიმავალს თელავის მოქალაქე სერგო ბუღდანოვს გზაზე რევოლვერით თავი დაუჭრია. მიხეილის სამკურნალოში ექიმებმა ბუღდანოვის ჭრილობა საშიშოდ არ სცნეს.

ვალდეკ რუსსო

საფრანგეთის რესპუბლიკამ დაჰკარგა შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე ვალდეკ რუსსო. კარგა ხანია მძიმე ავადმყოფი იყო, მხოლოდ ბოლოს

წამოუფარებია, რაც ჰკლავს, ახშობს თავისუფალ ცხოვრებას. ესენი უბედნიერესნი არიან: გაჰქრა ამათვის ეჭვის ხანა, ქენჯნა, საკუთარ უვარგისობის გამო გამოწვეული, მოისპო ავადმყოფობა და გაბატონდა სრული სულიერი სიკვდილი.

უმრავლესობა სხვა მდგომარეობაშია. საზოგადოების კალთაში შემძვრალი და შეკუმშული ეს უმრავლესობა ჯერ კიდევ არ განშორებია სამუდამოდ თავისუფალ და უკეთესს ცხოვრებისადმი მისწრაფებას, მაგრამ ჰგრძნობს თავის ეხლანდელ არსებობის უვარგისობას და იტანჯება, რადგან არ შეუძლიან შესცვალოს ცხოვრება ან არ იცის, როგორ შესცვალოს. ცხოვრების შესაცვლელად საჭიროა ძალა, დონე, რწმენა, ეს-კი არ მოეპოვება იმას, არაფერი სწამს, ცხოვრება უაზროდ მიაჩნია. რა საჭიროა მოქმედება? რად მიისწრაფის ხალხი სადღაც, რად იბრძვის, რად იღუპება? არაფერი არ შეიცვლება ქვეყნად: ცხოვრება ისეთივე უაზრო იქნება, როგორიც იყო. ასე ჰფიქრობს ზემოხსენებული უმრავლესობა.

სულის ასეთი ვითარება თან-და-თან ძლიერდება. მოღუშული (ХМУРЫЙ) კაცი ვეღარ ჰხედავს ბრწყინვალე მზეს, განათებულ ცას, აყვავებულ ველს. წყვდიადით მოცულ მიდამოში არ მოსჩანს იმისთვის მბჟუტავი „სინათლე“, იმის თვალში ყოველივე უშნო და ერთფეროვანია. ჰგრძნობს, რომ მარტოა, სხვებს მოწყვეტილი, რომ „მეტია“ ამ ქვეყნად.

ამ გვარი ადამიანი ვერ ივიწყებს, რომ ცხოვრების უფლება აქვს. სწორედ ეს არის „მეტის“ ადამიანის დამახასიათებელი. ბუნდად, გამოურკვევლად მუდამ ჰგრძნობს იგი, რომ შესაძლებელია სხვანაირი, უკეთესი ცხოვრება. ხან-და-ხან ეს გამოურკვეველი გრძნობა იფეთქებს ხოლმე, ჩნდება სურვილი უკეთესს ცხოვრების მოპოვებისა, იღვიძებს ინიციატივა, მაგრამ ან საკმაო ძალა არ არის განზრახულის განსახორციელებლად, ან ჩვეულებრივ ცხოვრების ტალახი და სიბინძურე ეღობება წინ იმას, რაც ადამიანის ბუნებრივ უფლებას შეადგენს. და ამ რიგად, მოღუშული კაცი თან-და-თან ეფლობა ცხოვრების ტალახში, თავის თავს იზიზღებს და სხვებს შორდება, თუმცა დავიწყებით მაინც ვერ ივიწყებს გამოურკვეველ აზრს უკეთესს ცხოვრების შესახებ. ჩეხოვის ერთ მოთხრობაში, რომელსაც სახელად „ვოლოდია“ ჰქვიან, გმირი მოთხრობისა—გიმნაზიელი—ვერ ივიწყებს თავის არსებობის სისაძაგლეს, ამ სისაძაგლეს გაურბის, მაგრამ უფრო დიდ ტალახში ეფლობა. ჰგრძნობს, რომ უვარგისია და გამოუსადეგარი. ამ აზრებით დატანჯული გიმნაზიელი რკინის გზით მიდიოდა.

„რაც უფრო ბოღმა აწვებოდა, მით უფრო ძლიერ ჰგრძნობდა, რომ სადღაც ამ ქვეყნად არის ცხოვრება წმინდა, კეთილშობილი, თბილი, აღსავსე სიყვარულით, ალერსით, მხიარულებით და თავისუფლებით... ჰგრძნობდა ამას და იტანჯებოდა ისე ძლიერ, რომ ერთი მგზავრი სახეში ჩააცქერდა და შეეკითხა: „კბილი ხომ არა გტკივათო?“

ამ „ბოღმით და დარდით“ იტანჯება ყველა „მოღუშული“ კაცი და ნატრობს „წმინდა, კეთილშობილ“ ცხოვრებას. სწორედ ამის გამო გრძნობენ ესენი თავიანთ თავს მეტად და ქვეყნისაგან მოწყვეტილად. გარემომ გაბატონებულ ტალახში ჩაფლულნი, მოღუშული კაცები თავიანთ უმოქმედობით და უაზრო ცხოვრებით უფრო აძლიერებენ ამ ტალახს, თუმცა ამავე დროს პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ და ოცნებობენ უკეთეს, წმინდა, კეთილშობილ, მაგრამ მიუწდომელ ცხოვრებაზე.

ტრაგედია მოღუშულ და მეტ კაცისა იქიდან წარმოსდგება, რომ ცნობიერება და ოცნება ცოცხალ, ბედნიერ, ფრთა გაშლილ ადამიანისა აქვს, მხნეობა და სულიერი ძალ-ღონე კი ნახევრად მკვდარ და უსიცოცხლო ადამიანისა. რაც უფრო მეტი განხეთქილებაა კაცის ბუნების ამ ორ მხარეს შორის, მით უფრო ჯოჯოხეთია მისი ცხოვრება. შორს, თავისუფლების და ძლიერების მწვერვალზე, მოსჩანს ორი, ერთი მეორის წინააღმდეგი, მისწრაფება,—ის ძლიერი მისწრაფებანი, რომელნიც, ზემოხსენებულ იტალიელ კრიტიკოსის აზრით, გაბრ. დ'ანუნციოს და ჯ. პასკოლის გმირებში შესისხლხორცდნენ. არც ერთ ამ მისწრაფებისთვის ჩეხოვის გმირს ძალა არ შესწევს, გულში კი უღვივის სურვილი, სწყურის ცხოვრება, ან სიტკბოებით ან გმირობით აღსავსე. გული არ ერჩის ამ გმირს მხოლოდ კალთაში მოქცეულ ცხოვრებისათვის; ეს კალთა-კი თვითონ აქვს თავზე წამოცმული. არც არის რამე იმედი მოიშოროს ეს აუტანელი კალთა, რადგან თვითონ არის თავისი თავის ჯალათი.

ჩეხოვის მოღუშული და მეტი კაცები უპირველესს ყოვლისა უბედური ადამიანები არიან. ნატრობენ უკეთეს ცხოვრებას და საზიზღარ სინამდვილეს-კი ვერ მოშორებიან. ოცნებისა და სულიერ ძალ-ღონის შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებას უსათუოდ თან ახლავს ხელმძღვანელ გზა-კვალის დაკარგვა და წუხილი, დარდი ამის გამო. „ბიძია ვანია“-ში ექიმი ასტროვი ამბობს:

„თუ ღამე ბნელ ტყეში მიდიხარ და თუ ამ დროს ცეცხლი ანათებს, არა ჰგრძნობ არც დაღლას, არც წყვდიადს, არც მჩხვლეტავ ეკლებიან ტოტებს... მე არ მინათებს ასეთი ცეცხლი“.

დასახელებულ გმირთა უმეტესობა სწუხს ამ „ცეცხლის“ უქონლობის გამო. არ არის რწმენა, გატაცება, და ყველა ისინი, რომელნიც პროტესტს აცხადებენ ცხოვრების წუმპეს წინააღმდეგ, ამავე წუმპეს მსხვერპლნი ხდებიან.

რით აიხსნება რწმენის დაკარგვა, უიმედო შეხედულება ცხოვრებაზე, გულ ჩათუთქულობა? ერთი გმირი ჩეხოვის მოთხრობისა სწერს:

„ძნელი ასახსნელია, რად დავსუსტდი და დავეცი ასე ადრე. მე სამღვთო წერილის გმირივით მოვიქეცი: წამოვიკიდე გაზის გალავნის უზარმაზარი კარები და წავიღე მთის მწვერვალზე, მაგრამ როდესაც დავსუსტდი, როდესაც სამუდამოდ გაჰქრა ჩემი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა, შევნიშნე, რომ ამ კარებისთვის ჩემი ძალ-ღონე სუსტი იყო, რომ მოვტყუვდი.“

ამ სიტყვებში მოკლედ მოთხრობილია მთელი ისტორია იმ თაობისა, რომელსაც თვით ჩეხოვი ეკუთვნოდა და რომლის სულიერ განწყობილებასაც იგი აგვიწერდა. ყველამ ვიცით, რა მხნედ და ინტენსიურად ცხოვრობდა და იბრძოდა მე-70 წლების თაობა. ცხოვრებაში გამოსულმა შემდეგმა, მე-80 წლების, თაობამ განიცადა ის დაღლილობა-მოდუნება, რომელიც ყოველთვის მოჭარბებულ შრომას მოსდევს ხოლმე. როგორც მძიმე ფიზიკურ მუშაობის დროს გული კაცისა მეტ უნარს და სიცოცხლეს იჩენს, ისე მე-70 წლების თაობის გული ძლიერად სცემდა და სცდილობდა გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა სამღვთო წერილის გმირმა. მაგრამ მოჭარბებულად მომქმედ გულოსთვის დგება ისეთი მომენტი, როდესაც იგი სუსტდება, და ამ დროს კრიზისი აუცილებელია,—იწყება გულის სისუსტის ხანა. აი, ასეთი სისუსტე დაუდგა რუსის საზოგადოებას მე-80 წლებში, ძლიერად მომქმედ მე-70 წლების შემდეგ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩეხოვის შემოქმედების მოწყენილ ხასიათსა და მე-80 წლების „სუსტ გულს“ შორის მჭიდრო კავშირია: საზოგადოებას ოცნება გაუცრუვდა, მოიქანცა, მოიღალა, ყველა ამან კი ხელი შეუწყო მოღუშულ, უღონო, უბედურ ადამიანთა გაჩენას. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ძლიერად ცემის დროს ამ უბედურ და უღონო ადამიანთა რიცხვი კლებულობს. მაგრამ ასეთი ხანა მოკლეა ხოლმე და როდესაც ჰქრება, ხელ-ახლა უწინდელი მკვდარი ცხოვრება იწყებს ბატონობას.

თუმცა პესიმიზმი და მოწყენილი მოტივები ჩეხოვის ნაწარმოებებში გამოწვეულია ადგილობრივ და დროებით მიზეზებისაგან, მაგრამ თვით სევდა და უკმაყოფილება ჩეხოვის გმირებისა მუდმივი მოვლენაა, რომლის მეოხებითაც სიცოცხლეს მოწყვეტილი ადამიანები უახლოვდებიან კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს. „დაწყევლილი საკითხები“, უკმაყოფილება აწმყოთი, გაურკვეველი წყურვილი კარგ ცხოვრებისა,—ყველა ეს საზოგადოების ერთ ნაწილს უმოქმედო სევდას ჰგვრის, ხოლო მეორეს—აფხიზლებს წინ წასასვლელად, სამოქმედოდ, საბრძოლველად. ჩეხოვის პატარა, უცნობი, უღონო და უსიცოცხლო არსებანი შეიცავენ ისეთ ელემენტებს, რაც კაცობრიობაში უფრო ძვირფასია: ამ ელემენტების მეოხებით კაცობრიობა არ ეფლობა სამუდამოდ ცხოვრების ტალახში, არ ეძლევა დაბალ ინსტინქტებს და სურვილებს. შესანიშნავ მხატვრულ ნიჭის მეოხებით ჩეხოვმა თავისი მოღუშული და მოწყენილი გმირები შეუკავშირა მუდამ ცოცხალ „დაწყევლილ საკითხებს“,—იმას, რაც ყოველთვის ცხოვრების საიდუმლოებას შეადგენდა და რაც ჯერ კიდევ დიდ ხანს კაცობრიობის ამაღელვებელი იქნება. აი, ამ მხრივ მემკვიდრეობა, ჩეხოვის მიერ დატოვებული, დიდი და დაუფასებელია.

—ძეე

დროს ცოტა გამობრუნდა და გაზეთები გვატყობინებდნენ, რომ საშიში არა მოელის-რა განთქმულ ექსმინისტრსო. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს გამობრუნება მოკლე ხნის ყოფილა და საფრანგეთს აღარა ჰყავს თავისი განთქმული შვილი. ვალდეკ რუსსო არ იყო ხნიერი. იგი დაიბადა 1846 წელს და 58 წელიწადი-კი, განსაკუთრებით ევროპიელ მოღვაწისათვის დიდი ასაკი არ არის.

ვალდეკი იყო შვილი 48—49 წ.წ. ცნობილ რესპუბლიკელ მოღვაწისა, რასაც თავისი გავლენა ჰქონდა ახალგაზდა ვალდეკზე: ოჯახის კერასთანვე შეითვისა და შეისისხლხორცა პატივისცემა და სიყვარული რესპუბლიკისადმი. პოლიტიკურ ასპარეზზე ვალდეკი პირველად ოთხმოციან წლების დასაწყისში გამოვიდა. გამბეტა დიდათ აფასებდა ახალგაზდა დეპუტატს და თავის მოკლე ვადიან სამინისტროში (1881 წელს) შინაგან საქმეთა მინისტრის ფორტფელი ჩააბარა. მეორედ ჟიულ ფერის ეგრედ წოდებულ „გრძელ სამინისტროში“ იყო შინაგან საქმეთა მინისტრად, (1883—1884). ამ დროს ეკუთვნის ვალდეკის მიერ შემუშავებული და პალატის მიერ დამტკიცებული კანონ-პროექტი მუშათა სინდიკატების შესახებ. მალე ვალდეკ რუსსომ თავი დაანება პოლიტიკურ ასპარეზს და კარგა ხანი აქტიურად მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს დრო იყო, რომ ვალდეკმა დაიმსახურა შესანიშნავ ადვოკატის სახელი.

პოლიტიკურ მიმართულებით ვალდეკ რუსსო ოპორტიუნისტებისა და ზომიერ რესპუბლიკელების წრეს ეკუთვნოდა. იგი ყოველთვის დიდის ენერგიით იცავდა ზომიერებას, ბურჟუაზიულ საკუთრებას და წესწყობილებას. მაგრამ ერთი რამ ანსხვავებდა ვალდეკს სხვა ამ გვარსავე მოღვაწეებისაგან: მეტად შორს და ღრმად გამჭვრეტ გონების პატრონი იყო და ნამდვილ ოპორტიუნისტებსავით ბრმად არ იცავდა არსებულ წესწყობილებას: მომხრე იყო რეფორმებისა მუშების სასარგებლოდ. ეს დაამტკიცა მან როგორც 1883—84 წლებში, ისე 1899—1902 წლებში, როცა მინისტრმა მილიერანმა დაამთავრა კანონები შესახებ მუშათა სინდიკატებისა.

მაგრამ მთავარი განსხვავება ვალდეკ რუსოსი ნამდვილ ოპორტიუნისტებისაგან იყო მისი დამოკიდებულება კლერიკალიზმთან.

პირველ ხანებში, როცა რესპუბლიკა ისეც იყო მყარდებოდა საფრანგეთში, ყველა რესპუბლიკელები ებრძოდნენ კლერიკალიზმს. გამბეტას განთქმული—clericalisme voila l'ennemi იყო ამათი დევიზი. გავიდა დრო და ჟამი: თანდათან გაძლიერდა დემოკრატია და უფრო და უფრო მედგრად მიდიოდა იერიშით ბურჟუაზიაზე. შეშინებული ოპორტიუნისტები მოკავშირეების ძებნას შეუდგნენ და, რაკი ამავე დროს კლერიკალ-რეაქციონერებმა ქურქი გამოიცვალეს და ვითომდა შეურიგდნენ რესპუბლიკას, მოკავშირეებად ესენი გაიხადეს. დემოკრატიის შიშით რესპუბლიკელები შეურიგდნენ რესპუბლიკის დაუძინებელ მტრებს. ნაყოფმაც მალე იჩინა თავი: კლერიკალ-რეაქციონერების გავლენა გამეფდა მაღალ ადმინისტრაციისა და მხედრობის წრეებში და მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ საჯაროდ ლაპარაკობდნენ ახალ „Coup d'état“-ზე. დრეიფუსის საქმე პირველი ეტაპი იყო ამ მიზნის განხორციელებისაკენ.

ვალდეკ რუსსო, ოპორტიუნისტი და ზომიერი რესპუბლიკელი, გადაუდგა თავის ამხანაგებს, ხელი მისცა ნამდვილ დემოკრატიის წარმომადგენლებს და შეურიგებელი, სასიკვდილო ომი გამოუცხადა საფრანგეთის რესპუბლიკის გამხრწნელ ელემენტებს. 1899—1902 წლის სამინისტრო ვალდეკ რუსსოსი დაუვიწყარი იქნება საფრანგეთის დემოკრატიისათვის. შესანიშნავი მხნეობა, ნიჭი და შორს გამჭვრეტელობა გამოიჩინა ვალდეკ რუსსომ და მრისხანე ძალა შავ-ბნელ რეაქციისა იძულებული გახდა ბრძოლის ველი დაეთმო პირველ მინისტრის სიმტკიცისათვის. მთავარი ძალა და იარაღი რესპუბლიკის მტრებისა კონგრეგაციები იყო და სწორედ ამ კონგრეგაციების წინააღმდეგ გაილაშქრა ვალდეკმა: ბრძოლა სასტიკი და საშინელი იყო, მაგრამ გამარჯვებული დემოკრატია გამოვიდა. ამიტომ არის, რომ ეს დემოკრატია არ დაივიწყებს ისეთ ბელადის სახელს, როგორიც ვალდეკი იყო.

აღსანიშნავია ერთი თვისება განსვენებულ სახელმწიფო მოღვაწისა: მაშინ როდესაც ოპორტიუნისტ მოღვაწეთა შორის თითქმის არ დარჩენილა არავინ, რომ ხელმრუდე კაცის სახელი არ დაემსახუროს, ვალდეკი ბოლომდე პატიოსან კაცად დარჩა. და როგორც პატიოსანი კაცი, იგი ააშფოთა დრეიფუსიადის აღვირაშვებულმა უსინიდისობამ და იმდენი ეცადა, რომ ბოლო მოუღო ამ საქმეს თავისა და საფრანგეთის რესპუბლიკის სასახელოდ.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ივლისი

მუკდენი. (საკუთ. კორ.). პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობებით იაპონელებმა 13 ივლისს მძლავრად დაუშინეს ყუმბარები და შემდეგ იერიში მიიტანეს ყველა ჩვენ პოზიციებზე, რომელნიც ხმელეთიდან მტრის მოსაგერებლადაა გამაგრებული. რუსებმა ყველგან უკუ აქციეს იაპონელები დიდის ზარალით. ბრძოლა გაგრძელდა რიჟრაჟიდან საღამომდის. რუსებს დაუჭრეს 6 აფიცერი და 500-მდე სალდათი. 14 ივლისს რიჟრაჟზე იაპონელებმა მძლავრად დაუშინეს ყუმბარები და იერიში მოიტანეს ჩვენ ცენტრზე იუპიდანის მთის დასაპყრობად, მაგრამ საღამოს იძულებულნი გახდნენ უკან დაწეულიყვნენ დიდის ზარალით. ჩვენ დავკარგეთ 30 აფიცერი და ათასი სალდათი. 15 ივლისს ჩვენმა ჯარმა დაიწია მგლის გორისაკენ სრულის წესით. იაპონელებმა, იმ ზარალის შემდეგ, რომელიც ამ ორი დღის განმავლობაში მივაყენეთ, ვერ გაბედეს ჩვენი დევნა. პოზიციაზე დარჩენილი იაპონელთა დაჭრილებს ჩვენმა ექიმებმა სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს, ასვეს და აჭამეს.

ლისსაბონი. გემი „ურალ“-ი წავიდა.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). დილას მოვიდა რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი, რომელიც იუწყება, რუსის 6 ჯავშნიანი გემი, 4 კრეისერი და ყველა ნაღმიან გემების ნახევარი გუშინ დილას გამოვიდნენ პორტ-არტურიდან. კონტრ-ნაღმიანი გემი გამოვიდა იქიდან წუხელის 6 მგზავრით, რომელნიც ამბობენ, იაპონელთა ფლოტი რუსებს გამოუდევნაო. ზღვაზე ბრძოლას ელიან.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). რუსის ესკადრა ოთხშაბათს გამოვიდა პორტ-არტურიდან; ერთი დღის განმავლობაში გამწვავებული ბრძოლა მოხდა. იაპონელთა კონტრ-ნაღმიანმა გემებმა ღამე იერიში მიიტანეს ესკადრაზე იერიშის შედეგი არ იციან. 29 ივლისს დილით „რეტვიზანი“ და „პობედა“ პორტ-არტურის წინ დაინახეს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). მოვიდა აქ კონტრ-ნაღმიანი გემი „რეშიტელნი“. გზაში კაპიტანს არ დაუნახავს იაპონელთა გემები. კაპიტანი ამოწმებს, რომ პორტ-არტურიდან მხოლოდ დიდი გემები გამოვიდნენ და ამბობს, ეს გემები მარჯვე დროს ელიან, რომ ვლადივოსტოკის ესკადრას შეუერთდნენო, რომელიც გაძლიერებულია არგენტინაში ნაყიდ გემებით. ნაღმიანი გემები, საკანონიროო ნავები და სხვა პატარა გემები პორტ-არტურში რჩებიანო. კაპიტანმა დასძინა, სროლა, რომელიც ამ ბოლო დროს გვესმოდა, პორტ-არტურთან მოხდა, რომელზედაც იაპონელები ყოველ დღე მოდიან იერიშით. იაპონელთა ფრონტი იწყება ლუიზის ბუხტიდან და ტაშიჩანის ბუხტამდის მიდის, პორტ-არტურის აღმოსავლეთით, 7 მილის მანძილზე.—კონტრ-ნაღმიან გემით მოსულნი მგზავრები ამბობენ, რომ უკანასკნელ დღეების განმავლობაში მგლის გორიდან ნასროლი ყუმბარები ქალაქში ეცემოდა. ერთი ყუმბარა გასკდა ზეთის საწყობში ოქროს გორასთან. საწყობის გადარჩენა ვერ მოახერხეს. ამბობენ, რუსეთის ესკადრას $2^1/_2$ საათის განმავლობაში სდევნიდნენო. ესკადრას გაჰყვა გემი—საავადმყოფო „მონგოლია“ ქალებითა და ბავშვებით.

28 ივლისი

სტამბოლი. პორტამ მიმართა შეთანხმებულ სახელმწიფოებს შუამდგომლობით, დაჟინებით ნუ ითხოვთ მაკედონიის ჟანდარმერიის აფიცერთა რიცხვის მომატებას, რადგან ამ მაგალითით წაქეზებული სხვა სახელმწიფოებიც ამასვე მოითხოვენო. პორტის აზრით, რუსეთისა და ავსტრიის აფიცრებს თავისუფლად შეეძლოთ მიეღოთ თავის გამგეობაში რამდენიმე მაზრა. ხელმძღვანელ წრეებს ეს აზრი პორტისა უსაფუძვლოდ მიაჩნიათ.—ოსმალეთის მხრივ არწმუნებიან, ნიშნებია იმისი, რომ ამერიკა ხელს უწყობს სომეხთა მოძრაობასაო.—რადგან ბაქოში ხოლერაა, უმაღლესს სასანიტარო საბჭოს განკარგულებით, უნდა გასინჯონ ბათომიდან მოსული ყველა გემები

სოფია. (ოპოზიც. წრეებ.). პორტა წინააღმდეგია მაკედონიის ჟანდარმერიაში უცხოელ აფიცერთა რიცხვის მომატებისა პირველად იმიტომ, თითქო სელჩოთ გამოეცხადოთ, აფიცერთა რიცხვი 25-ს არ უნდა აღემატებოდესო, მეორედ—არ უნდა გადიდდეს პოლიციისა და ჟანდარმერიის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა სამ ვილაეტში; ხარჯთ-აღრიცხვა უკვე 5 მილიონ ფრანკამდე ავიდა. სელჩოები უთუოდ თავისას მოითხოვენ.

პარიზი. ღვიძლის ოპერაციის დროს გარდაიცვალა ვალდეკ რუსსო.

მინსკი. მცხოვრებთათვის შემწეობის აღმოსაჩენად საგუბერნიო ერობამ დანიშნა საგზაო სამუშაოები მინსკისა, ბორისოვსკისა და პინსკის მაზრებში.

სიმბირსკი. უმთავრესი დამნაშავენი ყაზანის მონასტრის გაქურდვის დროს არიან ნიჟნი-ნოვგოროდში დაპატიმრებული ჩაიკინი, რომელიც გლეხი ანდრეევი აღმოჩნდა, და სტოიანი-მალორუსსი მჭედელი. ქ. ობოიანში შეიპყრეს აგრეთვე ამისი ამხანაგი გლეხი კომოვი.

ბაქო. ხოლერით ავადმყოფი ცნობილი რეშეტნიკოვი სრულიად მორჩა. სხვა ხოლერით არავინ გამხდარა ავად. საეჭვოა, რომ რეშეტნიკოვი აზიურ ხოლერით ყოფილიყოს ავად. თეირანიდან მიღებულ ცნობებით, თეირან-რეშტის გზაზე ხოლერა არაა.

პეტერბურგი. დრაგუნთა ინგერმანლანდიის მე-30 პოლკს, ტახტისა და სამშობლოს სადიდებლად ერთგულ სამსახურისათვის ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად უბოძა ახალი დროშა საიუბილეო წარწერით „1704—1904“. პოლკს 200 წელიწადი შეუსრულდა.

მოსკოვი. იზმაილოვის საფუტკრემ 40 წლის იუბილეი იდღესასწაულა. საფუტკრე აწესებს პრემიებს აკკლიმატიზაციის შესახებ საუკეთესო გამოკვლევების დასაჯილდოვებლად.

ქალაქის თვით-მმართველობას სტატისტიკურმა განყოფილებამ შეიმუშავა ქალაქის მუშათა დაზღვევის პროექტი.

ბერლინი. რუსეთის სადიპლომატო აგენტის როსტოვსკის მოკვლის დღეს ქ. მონასტირში (ბიტოლიის ახლო) გადახდილ იქმნა პანაშვიდი. დაესწრნენ: რუსეთის, ავსტრო-ჰუნგრეთის, საბერძნეთის და სერბიის საკონსულოების მოხელენი და ბოლგარიის სადიპლომატო აგენტი.

ბელგრადი. მოუსავლობის გამო მთავრობამ აკრძალა საზღვარ-გარედ სიმინდის, სიმინდის ფქვილისა და თივის გატანა.

ხვალ მოხდება მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც საბოლოოდ გადაწყდება საკითხი მეფის გვირგვინის კურთხევის გადადების შესახებ.

ვაშინგტონი. მინისტრთა დღევანდელ სხდომაზე სახელმწიფო სეკრეტარმა გეიმ აღნიშნა საბუთები, რომლის ძალითა ამერიკის ესკადრა ოსმალეთის წყლებში გაიგზავნა. დაიწყო ახალი მოლაპარაკება პორტასთან; თუ მოლაპარაკება ისევ უნაყოფოდ გათავდა, შესაძლებელია ამერიკის ელჩმა დასტოვოს სტამბოლი და შტატების გემზე გადავიდეს; ეს კი საქმეს გაამწვავებს.

სოფია. ამერიკის საელჩოსა და პორტას შუა მოლაპარაკება შეწყდა. ოსმალეთის წრეებში ეჭვი აქვთ, რომ ბითლისსა და ერზერუმის ვილაიეტებში მომხდარ სომხების აჯანყებაში ბრალი ამერიკას უდევსო.

29 ივლისი

პეტერბურგი. კენიგმა შაქრის ფასს 25 კაპეიკი მოუმატა.

ადესსა. ხალხის გამოკვებების შესახებ შემდგარ საბჭოში დაადგინეს აღძრან შემდეგი შუამდგომლობანი. შეჩერებულ იქნას წინა წლების დარჩენილი სახელმწიფო გადასახადის აკრეფა ადესსის მაზრის გლეხთა შორის, რომელნიც უმოსავლობის გამო დაზარალდნენ. შემოღებულ იქნას შეღავათიანი ტარიფი და რიგს გარეშე გაგზავნა და დატვირთვა პურისა, რომელიც მცხოვრებთა საჭიროებისათვისაა ნაყიდი. მიეცეს 5 ათას. მან. სამაზრო კრებას გლეხთათვის შემწეობის დასასესხებლად. სათესლედ საჭირო პურის რაოდენობის გამოსარკვევად, დაადგინეს სახეში იქონიონ ის გარემოება, თუ რამდენი დესიატინა ადგილი აქვს თითო ოჯახს.

ბერლინი. იმპერატორი დაბრუნდა ჩრდილოეთში მოგზაურობიდან.

პარიზი. შუადღეზე ვალდეკ რუსსოს ოპერაცია გაუკეთეს, რომელიც აუცილებელი შეიქნა ავადმყოფობის გაძნელების გამო. ავადმყოფი მეტად დასუსტებული იყო. ღვიძლის მოქმედებ შეწყდა. ოპერაცია 2 საათს გაგრძელდა დ ავადმყოფის სიკვდილით—დასრულდა. ვალდე რუსსო გარდაიცვალა 2 საათსა 45 წუთზე.

ბელგრადი. მეფის გვირგვინის კურთხევ მოხდება ბელგრადში 8 სექტემბერს, მირონცხება-კი შემდეგ—ჟიჩის მონასტერში. სკუპშჩინას ყველა წევრები დაესწრებიან გვირგვინის კურთხევას. მოუსავლობისა და მოძმე სახელმწიფოს—რუსეთის—ომის გამო დიდის ზეიმით ა გადაიხდიან ამ დღესასწაულს.

ვენა. კანონთა კრებულში გამოცხადებულ იქნება სამინისტროს განკარგულება იმის შესახებ, რომ აკრძალულია საზღვარ-გარედ გატანა ქერის, სიმინდის, კარტოფილის, საქონლის საკვებ ბალახებისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფ მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში -60 მან. თვე

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სა ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვ რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგ ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ეღიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევე რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანია. თვეში 1 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

მორიგი კრება

დანიშნულია კვირისათვის, 1 მარიამობისთვეს 1904 წ. საამხანაგო ძარხანაში, ელიზავეტის ქუჩაზე „ვერხალ“-ის სასტუმროს პირდაპირ, სახლი № 25.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ამა წლის პირველ ნახევარი წლის ანგარიშისა.
2. მოხსენება გამგეობის თავმჯდომარისა ამხანაგობის საქმეების გაუმჯობესობისა გამო.
3. განხილვა წევრთაგან წარმოდგენილ განცხადებათა.
4. არჩევანი ახალ წევრთა.

გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე.

მეფუტკრე-ინსტრუქტორი

ეძებს სამუშაოს საფუტკრეში, კისრულობს სამრეწველო საფუტკრეს გაშენებასა და მოწყობას. აქვე იყიდება თითქმის ახალი ველოსიპედი „დუქს“-ის ქარხნისა, 100 მანეთად. მსურველთ მიჰმართონ წერილით „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ი. ნ—ს.

(4—6.—3)

გამოვიდა გასასყიდად ახლად დაბეჭდილი

სრული გეოგრაფია საქართველოსი

ბატონიშვილის ვახუშტისა,

ავტორის სურათით, საქართველოს რუქით (ქარტით) და მრავალის ახალის შენიშვნებით მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა“.

ღვაწლი ბატონიშვილის ვახუშტისა საქართველოს გეოგრაფიის შედგენით—დაუფასებელია. მისი გეოგრაფია იყო და არის ერთად-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის ქვეყნის გაცნობისათვის. მის ამ შრომას სხვაფრივაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა: თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნახევარი ადგილების სახელები საუკუნოდ დაკარგული იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, რომ ღვაწლ-მოსილ ვახუშტს ეს წიგნი არ დაეტოვებია. ვახუშტის გეოგრაფია ძვირფასი შეძენაა ყოველის ქართველისათვის იმიტომ, რომ მასში იგი იპოვნის თავისი მხრის ბევრი ისეთი სოფლების, ქალაქების, ნაშთების და ადგილების აღწერას, რომლების არსებობას არც კი მოელოდა.

ჩვენ-მიერ დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს გაგზავნით მხოლოდ 2 მანეთი.

გამწერმა ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“, Ивану Павловичу Ростомашвили.

(10—211—5)